თებერვალი

რეკომენდაცია

- ✓ შევამოწმოთ ფუტკრის ოჯახები განვითარებაზე
- ✓ უდედო ოჯახების გამოვლინება
- ✓ საკვები მარაგის შემოწმება
- ✓ სკებისა და ჩარჩოების დეზინფექცია, მომზადება სეზონისათვის
- ✓ დაბეჭდილი ასაშენებელი ფიჭის მომარაგება
- ✓ სკების სწრაფი გადათვალიერება, როცა გარემოს ტემპერატურა +15°C -ზე მეტია
- ✓ ვაკვირდებით დაავადების ნიშნებს
- ✓ ჰაერის ცირკულაციის შემოწმება, ნესტის, კონდენსატის არსებობაზე
- ✓ ვაკვირდებით საფრენზე ხომ არაა დაგროვილი ცვილის და თაფლის (დაკრისტალებული) ნარჩენები
- ✓ დაუშვებელია ანტიბიოტიკებით „პროფილაქტიკა“, დაავადებების შემთხვევაში იმოქმედეთ ვეტერინარის ინსტრუქციის შესაბამისად
- ✓ საფუტკრის ჟურნალის წარმოება

შესასრულებელი სამუშაოები

- ➢ სწრაფი დათვალიერება ბარტყის არსებობაზე
- ➢ ბარტყის არ არსებობის შემთხვევაში, ვინიშნავთ და ვაკვირდებით ოჯახს და პირველივე ხელსაყრელი ამინდის დროს ვადგენთ დედის ვარგისიანობას, საჭიროების შემთხვევაში დედას ვცვლით სათადარიგოთი ან ვაერთიანებთ ოჯახს სხვა ოჯახთან
- ➢ კონდენსატის და ნესტის არსებობის შემთხვევაში გავაუმჯობესოთ ვენტილაცია, საფარი ტილო კუთხეში გადავკეცოთ 10-15 სმ -ზე
- ➢ ნოზემატოზის მსგავსი ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, შევცვალოთ ჩარჩოები ახლით, შევცვალოთ სკა, დავადგინოთ დაავადების გამომწვევი მიზეზები